სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბრძანება № MOH 6 22 00000002

ქ. თბილისი

13/06/2022 წელი

მაიმუნის ყვავილის ვირუსზე კვლევისთვის ნიმუშის აღების პროტოკოლის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, მაიმუნის ყვავილის ვირუსზე კვლევისთვის ნიმუშის აღების პროტოკოლი თანდართული დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტს (ვ. გეთია) უზრუნველყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართების დაყვანა მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებამდე.

3. დაევალოს, ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი
ამირან გამყრელიძე